



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 420
23/02/2018

ქალაქი ბათუმი

420-05-4-201802231009



ქეთევან დევამეზე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის ხელმძღვანელზე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადი 183 კალენდარული დღის მიცემის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის ხელმძღვანელს - ქეთევან დევამეს 2018 წლის 01 თებერვლის №285 ბრძანებით მიეცა მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულება 18 სამუშაო დღის ხანგრძლივობით, 2018 წლის 05 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას ეცნობა, რომ ქეთევან დევამეს შვებულებაში ყოფნის პერიოდში შეეძინა შვილი, რის შემდგომ ქეთევან დევამის მიერ განცხადებით მოთხოვნილი იქნა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება, რაზეც წარმოდგენილი იქნა საავადმყოფო ფურცელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულთა მხედველობაში მიღებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 64-ე მუხლის პირველი, მე-2-ე პუნქტებისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ქეთევან დევამის 2018 წლის 21 თებერვლის №2784/05 განცხადებით წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ქეთევან დევამეს - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის ხელმძღვანელს, მიეცეს ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადი 183 კალენდარული დღე, 2018 წლის 17 თებერვლიდან 2018 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით. 2018 წლის 17 თებერვლიდან შეწყვეტილი იქნეს ქეთევან დევამის მიმდინარე წლის ანაზღაურებადი შვებულება.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) უზრუნველყოს ქეთევან დევამეზე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო საშვებულებო თანხის ანაზღაურება (ავანსის სახით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი

სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

